გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- ლეილა მამულაშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 318 საკითხის განხილვაში.

დავესწარი 41 ბიუროს სხდომას და მონაწილეობა მივიღე 563 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ წევრი. დავესწარი ფრაქციის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 95 საკითხის განხილვაში.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. ჩავატარე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 19 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 73 საკითხის განხილვაში.

მიმდინარე პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრი პერიოდულად ვესწრებოდი სახვადასხვა სახის ღონისძიებებს და ვხვდებოდი ჩვენს ამომრჩევლებს.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

შევხვდი კარალეთის მოსახლეობას და მათ ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების პერსონალს, გავეცანი მათ საჭიროებებს.

დავესწარი „ღვინის დღეებს'' და გავეცანი მუნიციპალიტეტში აღნიშნული მიმართულებით განვითარებულ მეწარმეობას და მათ პრობლემებს. დავესწარი ასევე „გორის დღეებს“ და კულტურულ ღონისძიებებს.

2 ნოემბერს მოწვეულ სტუმრებთან ერთად ჩავატარე სესია-„საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასების მექანიზმი“. 27 ოქტომბერს შევხვდით და დავაჯილდოვეთ მუნიციპალიტეტის გამარჯვებულები კრივში. 2 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად შევხვდი ვერხვების დასახლების დევნილებს, გავეცანი მათ საჭიროებებს და მივაწოდე გარკვეული ინფორმაცია.

საკრებულოს წევრებთან ერთად შევხვდი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებს და დავსახეთ გარკვეული თანამშრომლობის გზები.

აღნიშნული პერიოდის განმალობაში ვესწრებოდი ანა ფერაძის სახ.გორის სამხატვრო სკოლაში სხვადასხვა მხატვართა პერსონალურ გამოფენებს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად შევხვდი ნაწრეტის, წითელუბნის და ხურვალეთის მოსახლეობას, გავეცანი მათ პრობლემებს და მოვახდინე რეაგირება. ძირითადად მათი პრობლემა ეხებოდა დასაქმებას.

შევხვდი საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის კუთხით.

შეხვედრა მქონდა გორისა და სამთავისის ეპარქიის სასულიერო პირებთან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სახლების კურთხევასთან დაკავშირებით. მოხდა გარკვეული პრობლემების მოგვარებაც.

ვესწრებოდი გორის ტურიზმის ცენტრში მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ: ავთანდილ ჩხეიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის განხილვა: უმაღლესში ჩარიცხულ 100%-იანი გრანტის მფლობელთა დაჯილდოება; პრეზენტაციებს და დისკუსიებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

შევხვდი გორის მეშვიდე სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს, დავესწარი პრეზენტაციას გენდერული თანასწორობის თემაზე. მონაწილეობა მივიღე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრს შორის მემორანდუმის გაფორმების პროცესში.

როგორც საკრებულოს წევრი დავესწარი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის წინააღდეგ გამართულ შეხვედრას და ორგანიზება გავუკეთე აღნიშნულ ღონისძიების ჩატარებას გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელებთან და სტუდენტებთან.

მონაწილეობა მივიღე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური საწარმოების გახსნაში, სადაც ქალმა მეწარმეებმა დაასახელეს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სასურველ ფასში რეალიზაციის პრობლემა.

მონაწილეობა მივიღე და შესაბამისი შენივნები გავაკეთე ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვაში საკრებულოს წევრებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ერთად ვესწრებოდი შეხვედრას, სადაც მოვისმინე იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კვლევის ანგარიში და გავეცანი მათ საჭიროებებს.

დავესწარი სესიას „ თანხმობის“ და ქეა კავკასიის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში- „ახალგაზრდების ხმა მშვიდობისათვის“. მონაწილეობა მივიღე დასაქმების ფორუმში.

23 დეკემბერს დავათვალიერე უფლისციხესა და ქვახვრელში განხორციელებული პროექტები და მონაწილეობა მივიღე ახალი სპორტული სტადიონის გახსნაში.

წლის ბოლოს დავაჯილდოვეთ მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენები. მონაწილეობა მივირე მოხუცებულთა საშობაო ღონისძიებაში.

დავესწარი ბავშვთა განვითარების ცენტრის გახსნას და გავეცანი მათ საჭიროებებს.

ვაქცინაციის კვირეულთან დაკავშირებით შევხვდი სამედიცინო პერსონალს და მოსახლეობას.

ჩემს კოლეგებთან ერთად დავაყენე ახალგაზრდული შემეცნებითი ბანაკის მოწყობის აუცილებლობა, რომელიც მერიამ წარმატებით განახორციელა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობნევში და დაბა ბაკურიანში. მივირე მონაწილეობა ბანაკში გასაგზავნ ახლგაზრდების შესარჩევ კონკურსში, ვარ კომისიის წევრი .დავესწარი როგორც ბანაკების გახსნას, ასევე მათ დახურვას. ახალგაზრდებმა მოითხოვეს ბანაკში ყოფნის დღეების რაოდენობის ზრდა შემდგომ წლებში.

ქალაქის ტერიტორიაზე ინფრასრუტრუქტურული პროექტების გაცნობა/მონახულების მიზნით პერიოდულად ვხვდები ამომრჩეველს, ვისმენ ამ კუთხით მოსაგვარებელ პრობლემებს. საკრებულოს წევრებთან ერთად გავეცანი „ახალბაღის“ პარკის ბოლო ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

შევხვდი ახალგაზრდებს საკრებულოს საქმიანობის გაცნობის მიზნით. ასევე რამდენჯერმე მივაწოდე ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. გავეცანი მათ პრობლემებს, როგორც სწავლის, ასევე საცხოვრებელი ადგილის კუთხით.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიის საშუალებებთან მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამასთან, ჩართული ვარ როგორც სამოქალაქო ბიუჯეტირების განხილვის, ასევე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლეილა მამულაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქალაქი გორი **2023 წლის 20 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ლეილა მამულაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ლეილა მამულაშვილი 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ლეილა მამულაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ლეილა მამულაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა **2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე** განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად

ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ლეილა მამულაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ნანა ტერმაკოზაშვილმა და ლეილა წკრიალაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : ლეილა მამულაშვილი.